ცვლილება დამტკიცებულია
შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის
აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი №11,
02.11.2023წ.

რექტორი, პროფესორი _____ მანანა ფირცხალავა

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფა არის: „შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებას" („საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ", მუხლი 2, 322).

ხარისხის შიდა უზრუნველყოფა გულისხმობს ინსტიტუციის საქმიანობის მონიტორინგს უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ან უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო სააგენტოების მიერ უნივერსიტეტის და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასების პროცესები - ავტორიზაცია და აკრედიტაცია. უნივერსიტეტი განიხილავს და ასრულებს ექსპერტების და ავტორიზაცია/აკრედიტაციის საბჭოების მიერ მოცემულ რეკომენდაციებს (არსებობის შემთხვევაში) შემდგომში საუნივერსიტეტო სერვისების და პროგრამების სრულყოფის და განვითარების მიზნით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება უმაღლეს განათლებაში ESG სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებს.

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა თანმიმდევრული უწყვეტი ციკლია, რომელიც თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიულ განვითარებასთან და ემსაუხრება სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება ციკლს დაგეგმე (plan), განახორციელე (do), შეაფასე (check), განავითარე (act), (PDCA), რომელიც ცნობილია დემინგის ციკლის/მოდელის სახელწოდებით. PDCA ციკლი უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებული დინამიური მოდელია. სისტემატიურ PDCA მიდგომას მივყავართ კონტროლთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან და ხარისხის კულტურის დამკვიდრებასა და განვითარებასთან.

შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორიენტირებული უნდა იყოს შემდეგ მიმართულებებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა (სწავლა/სწავლება, შეფასება, განვითარება და ა.შ.)

2. კვლევა (კვლევის სწავლებასთან ინტეგრაცია)

3. საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილი

4. უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების ეფექტიანობის შეფასება

5. პერსონალის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა

6. დაინტერესებული მხარეების პროცესებში მაქსიმალური ჩართულობა

7. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმები, უნივერსიტეტის რესურსების, დადგენილი ინდიკატორების და სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით.

8. საჯაროობა (ანგარიშები, ჩატარებული ანალიზის შედეგები, რეკომენდაციები და ა.შ.).

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განხორციელებაში ჩართულები არიან, როგორც შიდა, ასევე გარე დაინტერესებული მხარეები, რომლებიც მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტ პროცესებში, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას და მუდმივ განვითარებას.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას, მიღებული შედეგების შეფასების ანალიზს, ანალიზის საფუძველზე ანგარიშები/რეკომენ-დაციების შედგენას, რომლებიც ეგზავნება დეკანატებს, ფაკულტეტების საბჭოზე განსახილველად, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, წარედგინება აკადემიურ საბჭოს და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები უნივერსიტეტის განვითარებისათვის.

აღნიშნული პროცესების განხორციელებისათვის გამოიყენება სისტემური (გეგმიური) და არაგეგმიური (სიტუაციიდან/ამოცანიდან გამომდინარე) კვლევები, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით.

კვლევის პროცესში დაცულია ეთიკის საკითხები: ანგარიშვალდებულება, შეფასება, შედეგების მონიტო-რინგის შესაძლებლობა, ანონიმურობა, კონფიდენციალურობა, გამჭვირვალობა, შედეგების სანდოობა და ვალიდურობა.

სისტემური (გეგმიური) კვლევების გამოყენებით ყოველსემესტრულად ხდება უნივერსიტეტის მენეჯმენტის, საგანმანათლებლო პროგრამების (სწავლა-სწავლების), კვლევის, სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და ა.შ. შეფასება. სისტემური კვლევები ხელს უწყობს უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა პროცესების მუდმივ განვითარებას. სისტემური კვლევებისათვის გამოიყენება წინასწარ შემუშავებული კითხვარები.

უნივერსიტეტში შემუშავებულია შიდა და გარე კითხვარები. შიდა კითხვარები ანონიმურია და ჩატვირთულია სასწავლო პროცესის მართვის საინფორმაციო სისტემაში.

კითხვარების შევსების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები ახდენს ინფორმაციის ექსელში ექსპორტს და დამუშავებას. მიღებული შედეგების საფუძველზე ხარისხის სამსახურის მიერ კეთდება კომპლექსური ანგარიშები შესაბამისი რეკომენდაციებით.

ანგარიშები წარედგინება აკადემიურ საბჭოს განსახილველად.

ანგარშიები და რეკომენდაციები ეგზავნება შესაბამის ფაკულტეტებს და ყველა დაინტერესებულ მხარეს.

სასწავლო წლის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს მონიტორინგს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უკუკავშირის მიზნით.

შიდა გამოკითხვები ტარდება ყოველსემესტრულად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია გარე დაინტერესებული მხარეებისთვის სამი კითხვარი:

კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და კლინიკის კითხვარი.
გარე კითხვარებისათვის გამოიყენება საიტი - (https://freeonlinesurveys.com).

რესპოდენტებს მეილით ან ფეისბუქის საშუალებით ეგზავნებათ ლინკი. მას შემდეგ, რაც კითხვარების შევსება დასრულდება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იწყებს მის დამუშავებას და ანალიზს. გარე გამოკითხვები ტარდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს.

არაგეგმიური (სიტუაციიდან/ამოცანიდან გამომდინარე) კვლევების გამოყენებით ხდება მიმდინარე სიტუაცია/ამოცანის მიზნობრივი კვლევა, რაც უზრუნველყოფს ლოკალურად პრობლემის შესწავლას და მასზე დროულად რეაგირებას.

დასახული ამოცანების შესასრულებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სამუშაო გეგმას, რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოს და მონიტრინგის ვადებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა მონიტორინგის სამუშაო გეგმა

№	შესასრულებელი სამუშაო	მონიტორინგის ვადები
1.	*სასწავლო ცხრილის შემოწმება. სასწავლო ცხრილის შესაბამისობის დადგენა საგანმანათლებლო პროგრამებთან. აკადემიური/მოწვეული პედაგოგების დატვირთვის მონიტორინგი დეკანებთან ერთად*	სასწავლო წლის ორივე სემესტრის დაწყებამდე (ორი კვირით ადრე)
	ცხრილის არარსებობის შემთხვევაში ეცნობოს შესაბამისი მიმართულებების დეკანებს, რომ სასწავლო ცხრილი სტუდენტებისთვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იყოს სასწავლო სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა.	
2.	*მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის აუდიტორიების და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის, ინვენტარის და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პირობების, კომპიუტერული ტექნიკის – კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტის), მდგომარეობის შემოწმება და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან შესაბამისობის დადგენა ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან ერთად*	სასწავლო წლის ორივე სემესტრის დაწყებამდე (სამი კვირით ადრე)
	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმართაობის ან სასწავლო პროცესისთვის შეუსაბამო გარემოს შემთხვევაში ეცნობოს შესაბამის სამსახურს გამოსწორების მიზნით;	
3.	*პროფესიული უნარების ამაღლების მიზნით, პერსონალის ტრენინგების დაგეგმვა აქტუალური თემატიკიდან გამომდინარე, კითხვარების ანალიზის საფუძველზე (საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, ფაკულტეტების დეკანებთან, დაბალოვნების და რეზიდენტურის სამსახურთან ერთად და ა.შ.) (კითხვარი №10.1 და 10.2)*	სასწავლო წლის ორივე სასწავლო სემესტრის დაწყებამდე (ორი კვირით ადრე)
4.	*საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის (სახელმძღვანელოების და სასწავლო მასალის ფიზიკური მდგომარეობა, რაოდენობა, სილაბუსებთან შესაბამისობა) შემოწმება ბიბლიოთეკის დირექტორთან ერთად*	სასწავლო წლის ორივე სემესტრის დაწყებამდე (ორი კვირით ადრე)
	დაზიანებული, გამოუსადეგარი წიგნების ჩამოწერის და ახალი სახელმძღვანელოების შეძენის აუცილებლობის შესახებ ეცნობოს შესაბამის სამსახურს; დაკარგული სახელმძღვანელოების ნაცვლად ახალი სახელმძღვანელოების შეძენის აუცილებლობის შესახებ ეცნობოს რექტორს.	
5.	*ვებ-გვერდის მუშაობის და ინფორმაციის განახლების შემოწმება შესაბამის პასუხისმგებელ პირთან ერთად*	სასწავლო წლის ორივე სემესტრის დაწყებამდე (ერთი კვირით ადრე)
	ვებ-გვერდზე მოძველებული ან არასრული ინფორმაციის შემთხვევაში ხარვეზის გამოსწორების მიზნით ეცნობოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.	
6.	*საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება, რომლებსაც უწევს აკრედიტაცია (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების და დამსაქმებლების ჩართულობითა და ბაზრის კვლევის გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად*	
7.	*საკურაციო სასწავლო კურსების პერიოდული მონიტორინგი*	თვეში ერთჯერ
8.	*სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის და საუნივერსიტეტო მენეჯმენტის შეფასება ყოველი სემესტრში (კითხვარი №12)*	სასწავლო წლის ორივე სემესტრის მე-5 კვირას

9.	*შუალედური გამოცდების ცხრილის შედგენისა და გამოცდების ჩატარების მონიტორინგი დეკანატების წარმომადგენლების და საგამოცდო ცენტრის დახმარებით.*	სასწავლო წლის ორივე სემესტრი (VI-VII კვირა)
10.	*სწავლების ხარისხის დადგენის მიზნით სასწავლო პროცესში ჩართული სტუდენტების მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით (კითხვარი № 1)* *სტუდენტების მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მიღებული ინფორმაციის ანონიმურობას. აკადემიური/მოწვეული პერსონალი პერსონალურად იღებს ინფორმაციას და იყენებს შეფასების შედეგებს შემდგომი განვითარებისათვის.*	სასწავლო წლის ორივე სემესტრი (XI - XII კვირა)
11.	*სტუდენტების მიერ ადმინისტრაციული სერვისების შეფასება (კითხვარი № 2)*	სასწავლო წლის ორივე სემესტრის ბოლოს (XI - XII კვირა)
12.	*სწავლების ხარისხის დადგენის მიზნით აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო კურსების და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით (კითხვარი № 3)*	სასწავლო წლის ორივე სემესტრი (XI - XII კვირა)
13.	*1. სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვის შედეგების ანალიზი* *2. შუალედური გამოცდების შედეგების მოსწრების ანალიზი* *3. აკადემიური/მოწვეული პერსონალის ანონიმური გამოკითხვის ანალიზი* *4. ადმინისტრაციის პერსონალის ანონიმური გამოკითხვის ანალიზი*	სასწავლო წლის ორივე სემესტრი (XI კვირა, XXI კვირა)
14.	*ფინალური გამოცდების შედეგების ანალიზი*	სასწავლო წლის ორივე სემესტრი (XX - XXI კვირა)
15.	*კურსდამთავრებულთა პროგრამის შეფასებისა და კომპეტენციების პრაქტიკული გამოყენების კითხვარი (კითხვარი № 4)*	სასწავლო წლის დასრულების შემდეგ
16.	*დამსაქმებლის/კლინიკის კითხვარი (კითხვარი № 5)*	სასწავლო წლის დასრულების შემდეგ
17.	*საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი პროგრამის მიმდინარეობის პროცესში და პროგრამის დასრულებისას (დასრულების შემთხვევაში)*	სასწავლო წლის დასრულების შემდეგ
18.	*მონიტორინგის შედეგების საფუძველზე დასკვნის გაკეთება, რეკომენდაციების შემუშავება და აკადემიური საბჭოსთვის ანგარიშის წარდგენა განსახილველად.*	სასწავლო წლის დასრულების შემდეგ
19.	*სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრა (რეკტორის მოადგილე სასწავლო დარგში, დეკანები, ფაკულტეტის საბჭოები)*	სასწავლო წლის დასრულების შემდეგ
20.	*საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის სტატისტიკის ანალიზი*	სასწავლო წლის დასრულების შემდეგ

21.	*მომავალი სასწავლო წლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმის შედგენა, დასრულებული სასწავლო წლის ნაკლოვანებების და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების და მიღწეული შედეგების მონიტორინგის გათვალისწინებით.*	სასწავლო წლის დასრულების შემდეგ

რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით შეფასების ერთ-ერთ საკვანძო და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

მონიტორინგის, შეფასება-შემოწმებისა და ანონიმური გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებსა, რაც მიზნად ისახავს უკუკავშირის მიღებას სასწავლო პროცესის სრულყოფისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ექვემდებარება განახლებას, რაც გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებს, აგრეთვე ყოველწლიურად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყველა დაინტერესებულ მხარეებთან ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის/მექანიზმების გაანალიზებას, განახლებას (საჭიროების შემთხვევაში) და შეტანილი ცვლილებების აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებას.

სქემა1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის სტრუქტურა



კვლევა/კითხვარები	დაინტერესებული სტრუქტურები/მხარეები
სტუდენტის მიერ ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასება	ფაკულტეტები პროგრამის ხელმძღვანელები
აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამისა და სერვისების შეფასება	ფაკულტეტები პროგრამის ხელმძღვანელები საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური დახელოვნების და რეზიდენტურის სამსახური ბიბლიოთეკა IT-სამსახური სასწავლო პროცესის მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრატორი საგამოცდო ცენტრი
სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შუალედური შედეგების შეფასება	ფაკულტეტები პროგრამის ხელმძღვანელები
სტუდენტთა დასკვნითი შედეგების შეფასება	ფაკულტეტები პროგრამის ხელმძღვანელები
სტუდენტის მიერ პრაქტიკული უნარების შესრულების შეფასება	ფაკულტეტები პროგრამის ხელმძღვანელები
საკურაციო სასწავლო კურსების პერიოდული მონიტორინგი	ფაკულტეტები პროგრამის ხელმძღვანელები
სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული სერვისების შეფასება	ფაკულტეტები პროგრამის ხელმძღვანელები სტუდენტთა სერვის ცენტრი სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური ბიბლიოთეკა IT-სამსახური სასწავლო პროცესის მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრატორი საგამოცდო ცენტრი
სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის შეფასება (კონფერენციებში მონაწილეობის რაოდენობა, გამოქვეყნებული თეზისების, სტატიების რაოდენობა, კვლევებში მონაწილეობა)	ფაკულტეტები პროგრამის ხელმძღვანელები პროორექტორი სამეცნიერო დარგში
კურსდამთავრებულთა პროგრამის და შეძენილი კომპეტენციების პრაქტიკული გამოყენების შეფასება	ფაკულტეტები პროგრამის ხელმძღვანელები დამსაქმებლები
დამსაქმებლის კითხვარის ანალიზი და შეფასება	ფაკულტეტები პროგრამის ხელმძღვანელები

კურსდამთავრებულთა სტატისტიკის შეფასება, რომლებმაც სწავლა გააგრძელეს შემდგომ საფეხურზე	ფაკულტეტები პროგრამის ხელმძღვანელები სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური
აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგების დაგეგმვა/ჩატარების კითხვარის ანალიზი და შეფასება	ფაკულტეტები პროგრამის ხელმძღვანელები სტრუქტურული ერთეულები დახელოვნების და რეზიდენტურის სამსახური
სტომატოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის (ოკულისტმეგა სარეზიდენტურო პროგრამებიც)	ფაკულტეტები პროგრამის ხელმძღვანელები სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური დახელოვნების და რეზიდენტურის სამსახური
პროფილის მიხედვით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სტატისტიკა	ფაკულტეტები პროგრამის ხელმძღვანელები სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური დამსაქმებლები საუნივერსიტეტო კლინიკები აფილირებული კლინიკები პარტნიორი კლინიკები
კურსდამთავრებულთა სტატისტიკა	ფაკულტეტები პროგრამის ხელმძღვანელები სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური

სქემა 3. ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი ციკლის სტრუქტურა



სქემა 4. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის მიმდინარეობის პროცესში



სქემა 5. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის დასრულების შემდეგ